დანართი №6

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა-თბილისი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე:
მანანა ალიბეგაშვილი
წევრ(ებ)ი:
ნინი კეპულაძე

ნაწილი I. შესავალი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☒ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა-თბილისი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შპს
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	205089526

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	თბილისი
ფაქტობრივი მისამართი	წყნეთი, რუსთაველის N 156
საფოსტო ინდექსი	0181
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://buckswood.ge/
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	info@buckswood.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	N 385266 7.04.2025
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	2.05.2025

V. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ (ივსება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების წარმოებაზე)

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, რომლის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება სურს სკოლას.

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
ზოგადი განათლების **დაწყებითი** საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	დაწყებითი საფეხური	ქართული ენა	ქ. თბილისი, წყნეთი, რუსთაველის #156
ზოგადი განათლების **საბაზო** საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	საბაზო საფეხური	ქართული ენა	ქ. თბილისი, წყნეთი, რუსთაველის #156
ზოგადი განათლების **საშუალო** საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	საშუალო საფეხური	ქართული ენა	ქ. თბილისი, წყნეთი, რუსთაველის #156

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

2025 წლის 2 მაისს შედგა ვიზიტი შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა-თბილისში. ვიზიტის მიაზანი იყო ფართის ცვლილება. კერძოდ, 2023 წელს შპს „ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა-თბილისმა“გაიარა ავტორიზაცია ფართის ცვლილების კუთხით. რის საფუძველზეც დაიმატა ფართი ქალაქ თბილისში, მარშალ გელოვანის N1 (გადაწყვეტილება N 1297448).

2024 წელს, შპს "ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისის" დამფუძნებელთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, დაეფუძნებინა ახალი შპს "ბაქსვუდის სკოლა გელოვანზე", სკოლის მფლობელობაში არსებული ინფრასტრუქტურით, მისამართზე - ქ. თბილისი, მარშალ არჩილ გელოვანის N1, რომელიც სასწავლო პროცესს წარმართავდა, როგორც დამოუკიდებელი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. ავტორიზაციის მიზნით ახლად დაფუძნებულმა შპს-მ, "ბაქსვუდის სკოლა გელოვანზე", მიმართა სსიპ "განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს." შესაბამისი პროცედურების გავლის შემდეგ მიენიჭა ავტორიზაცია (გადაწყვეტილება N 1273602). ზემოთ აღწერილი პროცესის შედეგად შპს "ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისის" მფლობელობაში არსებული ინფრასტრუქტურის ორი მისამართიდან ერთი გადავიდა ახალი შპს-ს (ბაქსვუდის სკოლა - გელოვანზე) მფლობელობაში, რაც, კანონმდებლობის შესაბამისად, წარმოშობს ვალდებულებას შპს "ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისისათვის", გაიაროს ფართის ცვლილების პროცედურა ხელახლა. ამ განაცხადისა და საქმისწარმოების წარმატებით გავლის შემთხვევაში, შპს "ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისი" უბრუნდება 2023 წლამდე არსებულ მოცემულობას და ფუნქციონირებას გააგრძელებს თავის პირვანდელ მისამართზე - ქ. თბილისი, წყნეთი, რუსთაველის N156. აქვე დავძენთ, რომ წყნეთის მისამართთან დაკავშირებით ავტორიზაციის საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების (გადაწყვეტილების N1297448) შემდეგ, აღნიშნულ მისამართზე რაიმე არსებითი სახის ინფრასტრუქტურული ცვლილება აღარ განხორციელებულა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების თვითშეფასება, მასზე თანდართული დოკუმენტაცია, საგანმანათლებლო ინფრასტურქტურა, ადამიანური და მატერიალური რესურსი. ვიზიტის პროცესში გამოთხოვილი დამატებითი დოკუმენტაციისა და ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე მომზადდა დასკვნა

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
	795

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

X. ინფორმაცია კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო რესურსის შესახებ (ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების წარმოებაზე)

გთხოვთ, ასახოთ ინფორმაცია შეცვლილ ფართზე კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსის შესახებ

სკოლა ფლობს მოსწავლეთა მითხოვნილი ზღვრული რაოდენობისათვის საჭირო მატერიალურ და სასწავლო რესურსებს: 1166 ერთეული მერხი და სკამი, 41 ცალი პერსონალური კომპიუტერი, რომლებიც გადანაწილებულია ყველა კლასში, ასევე მასწავლებელებისთვის სამასწავლებლოშიც ორივე კამპუსში არის კომპიუტერები, 51 ცალი ლეპტოპი, 13 ცალი ინტერაქციული დაფა, 3D პრინტერი, 32 ცალი 3D კალამი, 5 ცალი ვირტუალური რეალობის სათვალე (ClassVR). კურიკულუმის განხორციელებისთვის სკოლას ჰყავს საჭირო ადამიანური რესურსი. კერძოდ: 29 უფროსი მასწავლებელი, 5 წამყვანი, 5 მენტორი, 13 მასწავლებლობის მაძიებელი, სკოლას ასევე ჰყავს მოწვეული მასწავლებლები.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის III სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

(ცხრილი ივსება მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის დროს)

	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების განაცხადში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*

მოსწავლეთა რაოდენობა: ---960----------	☒	
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N...		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[1]

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N...		

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N...		

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი *(ასეთის არსებობის შემთხვევაში)* *<u>ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე</u>*

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (III სტანდარტი)

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლის შინაგანაწესში, რომელიც სკოლის კონსტიტუციას წარმოადგენს მკაცრად განსაზღვრულია სტრუქტურულ ერთულთა ფუნქციები. კერძოდ, ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლის უმაღლესი ორგანოა დამფუძნებელთა საბჭო, რომელიც ნიშნავს გენერალურ დირექტორს. დამფუძნებელთა საბჭო უფლებამოსილია მიიღოს სკოლასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილება. სკოლის დირექცია სკოლის აღმასრულებელი ორგანოა, რომელიც შედგება გენერალური დირექტორის, აკადემიური დირექტორის, დაწყებითი განათლების კორდინატორის, საკოლო ცხოვრების ხელმძღვანელის და ტექნიკური დირექტორისგან. თითოეული მათგანის უფლება-მოვალეობები გაწერილია სკოლის შინაგანაწესში. სკოლა დაყოფილია ორ პროგრამულ ნაწილად: დაწყებითი და უმაღლესი საფეხური. დაწყებითი საფეხური მოიცავს მოსამზადებელ და სკოლის დაწყებით საფეხურს 1-დან 6 კლასამდე, ხოლო უმაღლესი 6-დან 12 კლასის ჩათვლით. სკოლის ორივე საფეხურზე აკადემიური პროგრამები მუშავდება აკადემიური საბჭოს მიერ და მტკიცდება აკადემიური დირექტორის ბრძანებით. სკოლის აკადემიური საბჭო წარმოადგენს სათათბირო ორგანოს, რომელიც შეიმუშავებს აკადემიურ პროგრამებს და რომლის თითოეული შემადგენელი რგოლის ფუნქცია-მოვალეობა გაწერილია სკოლის შინაგანაწესში.

ინდიკატორი 3.1.1.1. სტანდარტს შეესაბამება

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლის აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში შედიან: სკოლის აკადემიური დირექტორი (საბჭოს თვმჯდომარე), დაწყებითი განათლების კოორდინატორი/ინკლუზიური განათლების კოორდინატორი, სასკოლო ცხოვრების ხელმძღვანელი, აკადემიურ საქმეთა კოორდინატორი, რვა საგნობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელი; აკადემიური საბჭო შეიმუშავებს საგნობრივი დეპარტამენტების გრძელვადიან გეგმებს, საგნობრივი დეპარტამენტების წარდგინებით ამტკიცებს საფეხურებრივ პროგრამებს და შესაბამის საგნობრივ კურიკულუმებს. სკოლაში ფუნქციონირებს 8 საგნობრივი დეპარტამენტი, რომლის შემადგენლობაში შედის დაწყებითი და უმაღლესი საფეხურის შესაბამისი საგნის ყველა მასწავლებელი განურჩევლად საათობრივი დატვირთვისა. დეპარტამენტების საქმიანობის პრიორიტეტია სწავლების მაღალი ხარისხი, მოსწავლეზე ორიენტირებული გარემოს შექმნა და მასწავლებელთა მუდმივი პროფესიული ზრდა. სკოლის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ლოჯისტიკას და სკოლის მისიის შესრულებას. სკოლის აკადემიური დირექტორი კორდინაციას უწევს საგნობრივი დეპარტამენტების საქმიანობას, ახორციელებს მათი საქმიანობის მონიტორინგსა და შეფასებას. სკოლის ხარისხის მართვის პოლიტიკის დოკუმენტის საფუძველზე სკოლაში მუდმივად მიმდინარეობს სასწავლო პროცესის მუდმივი გადახედვა და გაუმჯობესებაზე ზრუნვა. კერძოდ, იქმნება მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების, სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელებისათვის აუცილებელი რესურსების შემოწმება და შეფასება. საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციების შემუსავება.

ინდიკატორი 3.1.1.2. სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი 3.1. სკოლის შინაგანაწესი

დანართი 3.16.ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და სკოლის მიერ შემუშავებული „შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა-თბილისის პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტის, სკოლის შინაგანაწესის, მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების წესისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მიზანია განსაზღვროს პერსონალის მართვის მიმართულებები და მექანიზმები, გაზარდოს სკოლის კონკურენტუნარიანობა, დასაქმებულთა მოტივაცია, პროფესიონალიზმი და შექმნას ისეთი გარემო, სადაც თითოეული თანამშრომელი შეძლებს საკუთარი პოტენციალის გამოვლენას და მუდმივ წინსვლას .ამ პოლიტიკის ამოცანებია: პერსონალის შერჩევა; პერსონალის მიღება; პერსონალის გადამზადება, განვითარება და შეფასება; პერსონალის მოტივირება და წახალისება; პერსონალის როტაცია საჭიროების შემთხვევაში; კონფიდენციალურობის დაცვა; შიდა კომუნიკაცია.

ინდიკატორი 3.1.2.1. სტანდარტს შეესაბამება

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლის მიერ შემუშავებული პერსონალის მართვის პოლიტიკა ეფუძნება საჭიროებებზე დაფუძნებულ პრევენციულ აქტივობებს. კერძოდ სასწავლო წლის მანილზე სემესტრის ბოლოს მიმდინარეობს საჭიროებების კვლევა და ამ საჭიროებების გაანალიზების საფუძველზე ხდება ადექვატური რეაგირება, კადრების შერჩევისას მიმდინარეობს მკაფიო მოთხოვნების დაყენება და შერჩევა. სასწავლო წლის ბოლოს დაგეეგმილია მასწავლებელთა საჭიროებების კვლევა და ამ კვლევის შედეგების გაანალიზება.

ინდიკატორი 3.1.2.2.სტანდარტს შეესაბამება

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლამ წარმოადგინა „პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის ერთ-ერთი ამოცანა პერსონალის სწორად და სამართლიანად შერჩევაა, ეს პროცესი ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: სამართლიანობა და გამჭვირვალობა; აკადემიური თავისუფლება; თანასწორობა, პირის ეთნიკური კუთვნილების, სქესის, სოციალური წარმოშობის, პოლიტიკური და რელიგიური შეხედულებების განურჩევლად; ნების თავისუფალი გამოვლენა; ურთიერთპატივისცემა და ურთიერთმხარდაჭერა; კორექტული კომუნიკაცია; სტრატეგიული გეგმის შემუშავებისას კეთილსინდისიერება; პერსონალის ინტერესების გათვალისწინება; პროფესიული განვითარება; გუნდური სულისკვეთების ხელშეწყობა ურთიერთპატივისცემასა და ურთიერთთანამშრომლობაზე დაყრდნობით; გადაწყვეტილებათა მიღებაში ჩართულობა სხვადასხვა ფორმით; გადაწყვეტილებათა ღიაობა და საყოველთაო ხელმისაწვდომობა კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;

ინდიკატორი 3.1.2.3.სტანდარტს შეესაბამება

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლის პერსონალის შერჩევის პოლიტიკის დოკუმენტის მუხლი 4-ის მიხედვით სკოლა პერსონალის შერჩევისას ორიენტირებულია თავისი საქმის მცოდნე პროფესიული და მაღალკვალიფიციური კადრის შერჩევაზე. პერსონალის შერჩევის პროცედურები განსხვავდება პერსონალის ტიპიდან გამომდინარე; კვალიფიციური პერსონალის მოზიდვის მიზნით სკოლა ახორციელებს კანდიდატურების შერჩევას საქართველოს კანონმდებლობისა და სკოლაში მოქმედი შიდა ნორმატიული სამართლებრივი აქტების შესაბამისად. სკოლა უფლებამოსილია პერსონალის შერჩევის მიზნით განცხადება განათავსოს სკოლის ვებ-გვერდზე, ასევე ისარგებლოს სხვა დასაქმების საიტებით;

ინდიკატორი 3.1.2.4.სტანდარტს შეესაბამება

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

ადგილზე გასაუბრებისას და სკოლის პერსონალის მართვის დოკუმენტის დეტალურად გაცნობისას დადგინდა, რომ სკოლის მართვის კულტურა ეფუძნება ჰორიზონტალური მართვის შემდეგ სამ პრინციპს: საშუალო რგოლის გაძლიერება, გადაწყვეტილებების მიღება ერთობლივად შეთანხმების გზით, მუდმივი თვითშეფასება თვითგანვითარების მიზნით.

ინდიკატორი 3.1.2.5.სტანდარტს შეესაბამება

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლას აქვს წარმატების გაზიარებისა და აღიარების სისტემა. კერძოდ სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკის მუხლი 5 განსაზღვრავს სკოლის თანამშრომელთა პროფესიული განვითარების პროცესს, რომელიც მოიცავს შემდეგ პროცედურებს:

- პროფესიული განვითარების მოთხოვნის იდენტიფიცირება,სამუშაოს კატეგორიის მიუხედავად,ინდივიდუალური საჭიროებების ანალიზის საფუძველზე
- გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად დაგეგმილი აქტივობები
- პროფესიული უნარ-ჩვევების მუდმივი მონიტორინგი

სასკოლო საზოგადოებასთან ადგილზე გასაუბრებისას დადგინდა,რომ სკოლის პერსონალის ნებისმიერი წევრი,რომელიც მონაწილეობს სხვადასხვა სახის ადგილობრივ თუ საერთაშორისო მაშტაბის ტრენინგებსა,თუ კონფერენციებში დაბრუნებისას

უზიარებს თავის გამოცდილებას კოლეგებს და ერთობლივად გეგმავენ შესაბამის აქტივობებს და საჭიროების შემთხვევაში შეაქვთ ცვლილებები.

ინდიკატორი 3.1.2.6.სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი 3.4. პერსონალის მართვის პოლიტიკა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლას აქვს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები. კერძოდ წარმოადგინეს ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის 2024-2025 სასწავლო წლის შუალედური ანაგარიში, რომელშიც აღწერილია მონიტორინგის მიზნები, პროცედურები, შეაფსებულია ჰაუსმასტერების, საგნობრივი დეპარტამენტების, კორდინატორების საქმიანობა. ასევე წარმოდგენილ იქნა ცალკეული ჰაუსმასტერების ანგარიშები. სკოლაში მუდმივად მიმდინარეობს მოსწავლეთა და მშობელთა გამოკითხვები, რომელთა შედეგების ანალიზი ეფუძნება სამოქმედო გეგმაში შესატან ცვლილებებს. გაკვეთილებზე დასწრება და მასზე სწორი და დროული უკუკავშირის გაცემა მიმდინარეობს სკოლის ხარისხის განვითარების პოლოტიკის დოკუმენტის შესაბამისად. გაკვეთილზე დასწრება, ასევე დეპარტამენტის ხელმძღვანელთა ანგარიშის ფორმების შეფასების კრიტერიუმები წინასწარ შეთანხმებულია სასკოლო საზოგადოებასთან.

ინდიკატორი 3.2.1.1.სტანდარტს შეესაბამება

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სკოლამ წარმოადგინა ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის ანგარიშები, გაანალიზების შედეგად გამოვლენილი საჭიროებებზე დაფუძნებული სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს სასწავლო და ვერიფიკაციის პროცესების, გამოსაყენებელი რესურსების შესაბამისობის მონიტორინგის შედეგების ანალიზს. სკოლის ხარისხის მართვის შიდა მონიტორინგის პროცესი მოიცავს ყველა მიმართულებას. სასწავლო პროგრამების, სწავლა-სწავლების, სერვისების, პერსონალის და კვლევითი საქმიანობების ხარისხის პროცესების მონიტორინგს. ხარისხის მონიტორინგის მიზნით მიმდინარეობს მშობელთა ანონიმური გამოკითხვა. მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი ყოველწლიურად ახორციელებს შიდა კმაყოფილების კვლევას მშობლებში, რომელიც მრავალკომპონენტიანია და ძირითადად ორიენტირებულია მიმდინარე ხარვეზების დროულ გამოვლენაზე და

ეფექტურად გადაჭრაზე; სასწავლო პროცესის, ხარისხის მონიტორინგის მიზნით მშობელთა ანონიმური გამოკითხვის შედეგების ანალიზი. კვლევის შედეგები ზიარდება დეპარტამენტის ხელმძღვანელებთან/ტექნიკურ დირექტორთან და ხდება გაჟღერებულ საკითხებზე რეაგირება; სკოლამ მონაწილეობა მიიღო ილიას სახელმწიფო უნივერსტეტისა და პარტნიორი სკოლების თანამშრომლობის პროექტის ფარგლებში ,,სკოლის ფოკუსირებული თვითშეფასების" კვლევაში პრეპის ეფექტურობის გაზრდის მიმართულებით (კვლევის კითხვარები და მონაცემები, მათი ანალიზი წარმოდგენილია დანართის სახით); ჰაუსმასტერების/კლასის კოორდინატორებისა და მასწავლებელბის თანამშრომლობის ხარისხის გაუმჯობესბეის მიზნით ჩატარდა გამოკითხვა, რომლის შედეგები განხილულ იქნა სკოლის აკადემიურ დირექტორთან სასკოლო ცხოვრების ხელმძღვანელთან. შემუშავდა შესაბამისი რეკომენდაციები და დაიგეგმა ახალი სასწავლო წლისთვის რეკომენდაციების დანერგვის მექანიზმები;

ინდიკატორი 3.2.1.2.სტანდარტს შეესაბამება

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას, რაც დასტურდება კვლევების შედეგად გაცემულ რეკომენდაციებზე დაფუძნებული მიზნობრივი ტრენინგების დაგეგმვასა და განხორციელებაში. კვლევების შედეგების გაანალიზებით რეკომენდაციები გაიცემა ჰაუსმასტერებისთვის, პედაგოგებისთვის, ინკლუზიური პორცესების სპეციალისტებისთვის

ინდიკატორი 3.2.1.3.სტანდარტს შეესაბამება

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის „პერსონალის მართვის პოლიტიკის"მე-7 მუხლი განსაზღვრავს სკოლაში ახალი თანამშრომლის ინტეგრაციის პროცესს. კერძოდ ამ დოკუმენტის მიზანია კეთილ განწყობილ გარემოში მოხდეს სამუშაო პროცესების და ორგანიზაციული კულტურის განვითარება. დეტალურად გაწერილია ახალ თანამშრომლებთან ურთიერთობის პრინციპები და გასატარებელი ღონისძიებები. ეს პრინციპებია: ღია და უშუალო კომუნიკაციის კულტურა,

ურთიერთთანამშრომლობა, უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნა, თანამშრომელთა წარმატების გაზიარება და გუნდური მუშაობა

.ინდიკატორი 3.2.1.4.სტანდარტს შეესაბამება

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

ადგილზე სკოლის პერსონალთან გასაუბრებისა და დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად დადგინდა, რომ წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინციატივა .კერძოდ, სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მე-7 მუხლში გაწერრილია ის ამოცანები რაც ხელს უწყობს პერსონალის ადაპტაციასა და პროფესიულ განვითარებას და ერთ-ერთ ასეთ აქტივობას წარმოადგენს საჭიროებებზე დაფუძნებული ტრენინგების ორგანიზება. ასევე სკოლის პერსონალი აქტიურად მონაწილეობს როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო პარტნიორების მიერ დაგეგმილ შეხვედრებსა და ტრენინგებში

ინდიკატორი 3.2.1.5.სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი 3.4. პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი

დანართი 3.16 ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება სკოლის მიერ წარმოდგენილი „ხარისხის მართვის უზრუნველყოფის პოლიტიკის „დოკუმენტის საფუძველზე. ამ დოკუმენტის მე-3 მუხლის განსაზღვრავს შიდა ხარისხის მართვის სისტემის პროცესებს, რომელიც ეფუძნება ციკლს დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე. P – D – C – A

დაგეგმე - გულისხმობს სკოლის საქმიანობის რომელი ასპექტი რა პერიოდულობით, რა თანმიმდევრობით და ვის მიერ უნდა განხორციელდეს.

განახორციელე - გულისხმობს სკოლის საქმიანობის ხარისხის შეფასების განხორციელებას წინასწარ დაგეგმილი აქტივობებით.

შეამოწმე - გულისხმობს განხორციელებული მონიტორინგი შედეგების ანალიზს.

განავითარე-გულისხმობს სკოლის დირექციისა და ადმინისტრაციის მიერ ნაკლოვანებების მიზეზების დადგენას და მათ აღმოსაფხვრელად აქტივობების დაგეგმვას.

ინდიკატორი 3.3.1.1.სტანდარტს შეესაბამება

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები

სკოლის მიერ წარმოდგენილი შინაგანაწესის მიხედვით ასევე ადგილზე სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში იდენტიფიცირებულია და დეტალურად არის აღწერილი საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესები. სკოლაში ფუნქციონირებს ჰაუსების სისტემა. ჰაუსში გაერთიანებული არიან 5-დან 11 კლასის ჩათვლით მოსწავლეები.სულ არის 8 ჰაუსი. გადანაწილება ემყარება პრინციპს თითო ჰაუსში ერთი მოსწავლე მაინც უნდა იყოს კლასიდან. თითოეულ ჰაუსს ჰყავს პრეფექტი. ჰაუსმასტერები უზრუნველყოფენ ჰაუსების ეფექტურ მართვას. სკოლის უმაღლესი ორგანო არის დამფუძნებელთა საბჭო, რომელიც ნიშნავს გენერალურ დირექტორს, სკოლა დაყოფილია 2 პროგრამულ ნაწილად: დაწყებით და უმაღლეს საფეხურად. სკოლის შინაგანაწესში გაწერილია თითოეული საფეხურის მართველი ორგანო და მართვის ეტაპები და პასუხისმგებლობები. სკოლაში ფუნქციონირებს 8 საგნობრივი დეპარტამენტი, რომლებიც უზრუნველყოფენ სასწავლო პროცესის წარმართვას.

.ინდიკატორი 3.3.1.2.სტანდარტს შეესაბამება

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლამ წარმოადგინა სკოლის გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული „მოსწავლის, მასწავლებლის, მშობლის ან მოსწავლის სხვა რომელიმე წარმომადგენლის უფლებების დაცვის მექანიზმების შესახებ „ დებულება, რომელიც განსაზღვრავს გასაჩივრების უფლების, საჩივრის სუბიექტის და მიმართვის მომზადების პროცედურებს. სკოლასა და დასაქმებულებს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში გაწერილია როგორც დამსაქმებლის ისე დასაქმებულის უფლება-მოვალეობები, ასევე ცალკე მუხლია დავების გადაწყვეტის წესი, რომელიც განსაზღვრავს დასაქმებულის მიმართ არსებული პრობლემის შემთხვევაში მის უფლებას მიმართოს სასამართლოს. სკოლის შინაგანაწესი უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის უფლება-მოვალეობის დაცვას.

.ინდიკატორი 3.3.1.3.სტანდარტს შეესაბამება

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სკოლამ წარმოადგინა შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა-თბილისის გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული „მოსწავლის, მასწავლებლის, მშობლისა ან მოსწავლის სხვა კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის მექანიზმი'' რომლის საფუძველზე მოსწავლეს, მშობელსა და მასწავლებელს უფლება აქვთ, თავიანთი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად გაასაჩივრონ მასწავლებლის, სკოლისა და საგანმანათლებლო დაწესებულების დაცვის სამსახურის უკანონო და არამართლზომიერი ქმედება.

ინდიკატორი 3.3.1.4.სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი 3.19 მოსწავლის, მასწავლებლის ან მოსწავლის სხვა წარმომადგენლის უფლებების დაცვის დოკუმენტი

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული „შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა-თბილის საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი "რომლის საფუძველზე ხორციელდება სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, კერძოდ სკოლის ვებ -გვერდი და სოციალური ქსელი ასრულებს საკომუნიკაციო ფუნქციას, მათ შორის უკუკავშირის მიღებას და მასზე რეაგირების საშუალებას. სასკოლო საზოგადოების ინფორმირება ასევე ხორციელდება სკოლის „ელექტორნული დღიურის" საშუალებით, სადაც ასახულია, მოსწავლის დასწრების შესახებ ინფორმაცია, აკადემიური მოსწრების განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები, ამ დღიურის საშუალებით მშობელს აქვს საშუალება მიიღოს ინფორმაცია მოსწავლის გასაუმჯობესებელი მიმართულებების შესახებ, და საჭიროების შემთხვევაში დაეხმაროს მასწავლებელს მოიძიოს პრობლემის გადაჭრის სავარაუდო გზები. თითოეულ მშობელს აქვს ინდივიდუალური მომხმარებლის სახელი და პაროლი, რაც თავის მხრივ, შეუძლებელს ხდის პირადი ინფორმაციის არასასურველ გასაჯაროებას. ამას გარდა, ელექტრონული პლატფორმა იძლევა შესაძლებლობას, როგორც საგნობრივი დეპარტამენტის, ისე ადმინისტრაციის დონეზე, მოხდეს მიღებული უკუკავშირის გაანალიზება..

ინდიკატორი 3.3.2.1.სტანდარტს შეესაბამება

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლის მართველობის უმაღლეს ორგამოს წარმოადგენს დამფუძნებელთა საბჭო, რომელიც ნიშნავს გენერალურ დირექტორს. სკოლის დირექცია სკოლის აღმასრულებელი ორგანოა, რომელიც შედგება გენერალური დირექტორის, აკადემიური დირექტორის, დაწყებითი განათლების კორდინატორის, საკოლო ცხოვრების ხელმძღვანელის და ტექნიკური დირექტორისგან. აკადემიური საბჭოს ფარგლებში სასკოლო საზოგადოების წევრები ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ შეხედულებებს აანალიზებენ პრობლემის წარმომქმნელ მიზეზებს და ერთობლივად იღებენ გადაწყვეტილებებს.სკოლაში ფუნქციონირებს ჰაუსების სისტემა, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობას, ერთმანეთზე ზრუნვას, რადგან თითოეული ჰაუსის წარმატება მისი წევრი მოსწავლეების ერთიანობასა და მიღწევებზეა დამოკიდებული. ჰაუსური ცხოვრების ეფექტურად წარმართვაში დიდ როლს თამაშობენ ჰაუსმასტერები, ესენი არიან ბაქსვუდის აკადემიური დირექტორის თანაშემწეები. მათი ძირითადი მისიაა სკოლის მოსწავლეებს შორის ჯანსაღი და მეგობრული ატმოსფეროს შექმნა, რომელიც უქმნის მათ მოტივაციას ცოდნის მიღებისა და საკუთარი პოტენციალის მაქსიმალური რეალიზებისათვის. მათი საქმიანობის უმთავრესი პრინციპია მუშაობა პრევენციაზე და არა უბრალოდ რეაგირებაზე.

ინდიკატორი 3.3.2.2.სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი 3.39 საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);
2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)**

სკოლა ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის მიზნით ხელშეკრულება გაფორმებული აქვს დაცვის 5 თანამშრომელთან, შენობაში განთავსებულია 117 სათვალთვალო კამერა. სკოლამ წარმოადგინა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული „შპს ბაქცვუდის საერთაშორისო სკოლა-თბილისის“ საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. სკოლის დირექტორის ბრძანებით სკოლის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრული ჰყავს დაცვის უფროსი. სკოლას არ აქვს ამ ეტაპზე დამტკიცებული სახანძრო უსაფრთხოების მართვის გეგმა, თუმცა წარმოადგინა 2025 წლის 14 მარტს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისადმი გაგზავნილი წერილი. შესაბამისობის გეგმის მიხედვით პროცედურის დასრულების თარიღად განსაზღვრულია 2027 წლის მარტი. ასევე წარმოადგინა 2024 წლის11 სექტემბერს მიღებული დასკვნა „შენობის მდგრადობის შესახებ“ (ქ.თბილისი,დაბა წყნეთი რუსთაველის ქ N 152 საკადასტრო კოდი 01.20.01.140.056 შენობის) და 2024 წლის 9 სექტემბერს გაცემული დაკვნა ქ.თბილისი, დაბა წყნეთი რუსთაველის ქ N 156 საკადასტრო კოდი 01.20.01.1.40.044. შენობის მდგრადობის შესახებ.

ინდიკატორი 3.4.1.1.სტანდარტს შეესაბამება

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლა სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას უზრუნველყოფს, სკოლის საშტატო განრიგით გათვალისწინებული სკოლის ექიმისა და ექთნის საშუალებით. მათი ფუნქცია-მოვალეობები განსაზღვრულია “ შპს ბაქსვუდის

საერთაშორისო სკოლა-თბილის“ “ექიმის დებულების“ საფუძველზე. ამ დებულების თანახმას სკოლის ექიმი და ექთანი ანგარიშვალდებულნი არიან გენერალური დირექტორის, ტექნიკური დირექტორისა და აკადემიური დირექტორის წინაშე.დოკუმენტში გაწერილია თითოეული მათგანის კომპეტენცია და პირველადი დახმარების პროტოკოლი. ადგილზე დათვალიერებისას დადგინდა რომ სამედიცინო კაბინეტი სრულად აღჭურვილია კანონმდებლობით გათვალისწინებული ინვენტარითა და რესურსით. ასევე თამნამშრომელთა რაოდენობა შესაბამისია მოსწავლეთა რაოდენობისა..

ინდიკატორი 3.4.1.2.სტანდარტს შეესაბამება

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას სკოლის შინაგანაწესის, სკოლის პესონალის მართვის დოკუმენტების შესაბამისად. მკაცრად კონტროლდება უცხო პირთა შესვლა-გამოსვლა. სკოლამ წარმოადგინა შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს მიერ მომზადებული ევაკუაციის გეგმა, რომლიც გამოკრულია სკოლის ტერიტორიაზე და რომლის გაცნობაც ხდება სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის.

ინდიკატორი 3.4.1.3.სტანდარტს შეესაბამება

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლაში ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფს სკოლის სტრუქტურა. კერძოდ სკოლაში ფუნქციონირებს ჰაუსური სისტემა. ჰაუსი წარმოადგენს გუნდს, რომელშიც გაერთიანებული არიან მოსწავლეები 5 დან 11 კლასის ჩათვლით. სკოლაში ფუნქციონირებს 8 ჰაუსი, თითოეულ ჰაუსს ჰყავს 2 უმცროსი და 1 უფროსი პრეფექტი. ჰაუსმასტერები არიან ადმინისტრაციული რგოლის წარმომადგენლები და პასუხისმგებელნი არიან ჰაუსების ეფექრურ ფუნქციონირებაზე. მათი მთავარი მისიაა მოსწავლეებს შორის ჯანსაღი და მეგობრული და ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა შესაძლებლობების მაქსიმუმის გამოვლენასა და სწორად განვითარებას.

ინდიკატორი 3.4.1.4.სტანდარტს შეესაბამება

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას.კერძოდ განსაზღვრულია სანიტარულ-ჰიგიენურ პირობების დაცაზე ზედამხედველი პირი, რომლის მოვალეობაა სამეურვეო საქონლის მარაგების აღწერა, საჭიროებების დადგენა და მარაგების შევსება, სკოლას ჰყავს 5 დამლაგებელი, რომელთა საქმიანობის მონიტორინგი მიმდინარეობს ტექნიკური დირექტორის მიერ. ასევე მუდმივად ხორციელდება კვების ობიექტში არსებული გარემოს შეფასება.

ინდიკატორი 3.4.1.5.სტანდარტს შეესაბამება

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლა პერსონალურ მონაცემთა დაცვას უზრუნველყოფს შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა-თბილისის გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული "პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის „დოკუმენტის შესაბამისად. ამ დოკუმენტის მიზანია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის პერსონალურ მონაცემთა დაცვა. აღნიშნული წესი შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან. სკოლას განსაზღვრული ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვის პროცესის შესაბამისობას პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონთან იგი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში და ექვემდებარება სკოლის დირექტორს. ამ დოკუმენტში განსაზღვრულია მონაცემთა დამუშავების მიზნები, საფუძვლები და პრონციპები. ასევე განსაზღვრულია მონაცემთა კატეგორია და სუბიექტთა უფლებები. ამ დოკუმენტის მუხლი 12 განსაზღვრას პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის უფლება-მოვალეობებს.

ინდიკატორი 3.4.1.6.სტანდარტს შეესაბამება

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლაში ადგილზე გასაუბრებისას და სკოლის მიერ წარმოდგენილი "პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის „დოკუმენტის შესაბამისად განსაზღვრულია მონაცემთა გამჟღავნების, მონაცემთა შენახვის, მონაცემთა უსაფრთხოების წესები და კონკრეტულ სიტუაციაში დაცვის მექანიზმები. კერძოდ,მონაცემთა შენახვის ფორმა და პერიოდულობა, ასევე მონაცემთა დაცვის ფორმები ვიდეო თვალთვალის, შენობაში შესვალ-გამოსვლის, ელექტრონული ფოსტის და ტელეფონის გამოყენების პროცესში. ასევე გაწერილია თანამშრომელთა უფლება-მოვალეობები.

ინდიკატორი 3.4.1.7.სტანდარტს შეესაბამება

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას. კერძოდ, ყოველ ხუთშაბათს იკრიბება სკოლის პერსონალი, სადაც ხდება კვირის შედეგების განხილვა, როგოც აკადემიური, ისე ტექნიკური კუთხით. აკადემიურ საკითხებს წარადგენს სკოლის ადმინისტრაციული დირექტორი, ხოლო უსაფრთხოების კუთხით ინფორმაციას წარადგენს სკოლის ტექნიკური დირექტორი. სკითხის გაანალიზების შედეგად საჭიროების შემთხვევაში იგეგმები აქტივობები. როგორც სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგად დაგინდა, სკოლის ტერიტორიაზე გარკვეული სიხშირით იმართება საგანგებო სიტუაციების გეგმის შესაბამისად განგაშის იმიტაცია.

ინდიკატორი 3.4.1.8.სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი 3.29.უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის ბრძანება

დანართი 3.25 საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა

დანართი 3.20 პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა

დანართი 3.32 ხელშეკრულება პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფროსთან
დანართი 3.31 სანიტარულ-ჰიგიენურ პირობების დაცაზე ზედამხედველი პირის ბრძანება
დანართი 3.10 საშტატო განრიგი
დანართი 3.26 უსაფრთხოების მექანიზმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სკოლის მიერ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მითითებულია 960 მოსწავლე. ამ ეტაპზე სკოლაში ირიცხება 795 მოსწავლე. საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, წყნეთში შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა-თბილისისს მისამართია ქ. თბილისი დაბა წყნეთი, რუსთაველის ქუჩა 156. სკოლის საერთო ფართი შეადგენს 5763.4 კვ.მ-ს, აქედან საბაზო/საშუალლო საფეხურის შენობის საერთო ფართია 2558.5 კვ.მ ხოლო დაწყებითი საფეხურისთვის შენობის საერთ ფართი 3204.9 კვ.მ. სასადილოს შენობა 1658.65 კვ.მ. საბაზო/საშუალო საფეხურის შენობა 4 სართულიანია. პირველ სართულზე განთავსებულია სივრცე აკადემიურ საქმეთა კოორდინატორისთვის და ცალკე სივრცე ადმინისტრაციისთვის, დაცვის ოთახი, საიდანაც ხორციელდება ვიდეოკონტროლი, სამასწავლებელო, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, დარბაზი დიდი შეხვედრებისთვის/ღონისძიებებისთვის, მეორე სართულზე განთავსებულია საკლასო ოთახები, შეხვედრების ოთახი, ჰაუსმასტერების ოთახი, ადაპტირებული სველი წერტილი. III სართულზე-საკლასო ოთახები, საბუნებისმეტყველო კაბინეტი, გენერალური დირექტორისა და აკადემიური დირექტორის ოთახები. IV სართულზე-საკლასო ოთახები, ინოვაციების ოთახი, საუნივერსიტეტო მრჩევლის ოთახი. საბუნებისმეტყველო კაბინეტი. სველი წერტილები. სკოლის ეზოში არის კეთილმოწყობილი გარე სპორტული მოედნები დაწყებითი საფეხურის შენობა 4 სართულიანია, სადაც განთავსებულია შესაბამისი რაოდენობის საკლასო ოთახები, ყველა სართულზეა ადაპტირებული და არაადაპტირებული სველი წერტილები, კეთილმოწყობილი სპორტული დარბაზი. სკოლას აქვს მოსწავლეთა დაგეგმილი ზღვრული რაოდენობის შესაბამისი -მერხი და სკამი -1133 ცალი. 182 კომპიუტერი და ლეპტოპი,9/ქსეროქსი, ტელევიზორები, სკოლის სხვადასხვა ნაწილში (ლაბორატორია, ბიბლიოთეკა და სხვა) განთავსებულია 16 ჭკვიანი დაფა.

ინდიკატორი 3.5.1.1.სტანდარტს შეესაბამება

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლაში ადგილზე ვიზიტისას, ასევე დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად დადგინდა, რომ სკოლის ინფრასტრუქტურა, მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის.კერძოდ სკოლის მიერ წარმოდგენილია ლაბორატოიით სარგებლობის წესი, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა ამ წესების აღსრულება უპრობლემოდ მიმდინარეობს. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის შესაბამისად შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი,რომლის ფუნქციაა

სკოლის ტერიტორიაზე დაიცვას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შრომის უსაფრთხოების ნორმები, საფრთხის არსებობისას დაიცვას თითოეული თანამშრომელი და ნებისმიერი პირი.

ინდიკატორი 3.5.1.2.სტანდარტს შეესაბამება

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლამ წარმოადგინა შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა-თბილისის აკადემიური დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“რომელიც არეგულირებს სკოლის ბიბლიოთეკაში არსებული საბიბლიოთეკო რესურსის გამოყენების და სარგებლობის წესს. ამ წესის მე- 2 მუხლი განსაზღვრავს ბიბლიოთეკით სარგებლობის მიზნებსა და ამოცანებს. მე-3 მუხლი განსაზღვრავს ბიბლიოთეკის საქმინობის პრინციპებს-მკითხველის თანასწორუფლებიანობა,ინფორმციის ხელმისაწვდომობა და ოპერატიულობა. აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია სამკითხველო დარბაზში ქცევის წესები, ბიბლიოთეკარის და მკითხველის უფლება-მოვალეობები.

ინდიკატორი 3.5.1.3.სტანდარტს შეესაბამება

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლა ფუნქციონირებს ორ შენობაში. ახალი შენობა, სადაც განთავსებულია დაწყებითი საფეხური, სრულად ადაპტირებულია. სკოლას არ ჰყავს ამ ეტაპზე შშმ პირი თუმცა ყველა სართულზე გვხვდება ადაპტირებული ტუალეტები, ასევე ფუნქციონირებს ლიფტი. მეორე ძველ შენობის პირველ სართულზე განთავსებულია ადაპტირებული ტუალეტი. სკოლას ამ ეტაპზე ჰყავს 23 სსსმ მოსწავლემათ შორის 2 მოსწავლე საჭიროებს ასისტენტს. სკოლის ორივე შენობის ინფრასტრუქტურა და ის ხალისიანი გარემო, რომელიც სკოლის შენობაში შეცვკისთანავე იგრძნობა ნებსმიერი ტიპის მოსწავლისთვის ქმნის ინკლუზიურ გარემოას.

ინდიკატორი 3.5.1.4.სტანდარტს შეესაბამება

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლის ინფრასტრუქტურა გარე. სპორტული მოედნები, საბიბლიოთეკო სივრცე, თუ ჰაუსების შეხვედრის ოთახები ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. კერძოდ,ფუნქციონირებს სივრცეები სადაც მოსწავლეები აწყობენ შეხვედრებს, ტარდება სასკოლო ღონისძიებები, ეწყობა სხვადასხვა სასწავლო-შემეცნებითი, სპორტული ღონისძიებები, ხორციელდება სასკოლო პროექტები, რომელიც ხელს უწყობს თანამშრომლობითი და კეთილგანწყობილი გარემოს ჩამოყალიბებას.

ინდიკატორი 3.5.1.4.სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი 3.36 ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი

დანართი 3.34ლაბორატორიით სარგებლობის წესი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლის ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესების სრულფასოვან წარმართვას. კერძოდ ყველა საკლასო ოთახი აღჭურვილია კომპიუტერით ხოლო 16 მათგანში კი განთავსებულია ჭკვიანი დაფები. სრულად აღჭურვილია კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც ორ ერთმანეთში გამავალი ოთახისგან შედგება და საჭიროების შემთხვევაში ერთ სივრცედ ხდება გადაკეთება. სკოლას აქვს 31 პრინტერი/ქსეროქსები, ჭკვიანი დაფები. სკოლაში არის უსადენო ინტერნეტქსელი. სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია უზრუნველყოფილია საჭირო კომპიუტერული ტექნიკით, პრინტერით, სკანერის აპარატით. შესაბამისად, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვას. გარდა ამისა, სკოლა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სასწავლო პროცესში ციფრული ტექნოლოგიების დანერგვას და გამოყენებას. კომპიუტერებთან და პროექტორებთან ერთად გამოიყენება 3D პრინტერი, რობოტები, 3D კალმები და ვირტუალური რეალობის სათვალეები(ClassVR) და გაფართოებული რეალობის აპლიკაცია. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სკოლაში STEM საგნების სწავლებას.

ინდიკატორი 3.6.1.1.სტანდარტს შეესაბამება

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლამ წარმოადგინა კოპიუტერული ლაბორატორიის სარგებლობის წესი,რომლის მიზანია თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით სასწავლო პროცესი წარიმართოს ეფექტურად. ამ წესის მე-3 მუხლი განსაზღვრავს ლაბორატორიით სარგებლობის

პრინციპებს. ეს პრინციპებია: მოსწავლეთა თანასწორუფლებიანობა, ინფორმაციის ხელმისწავდომობა, კავშირების დამყარება სხვა ლაბორატოიებთან

ინდიკატორი 3.6.1.2.სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი 3.3 ლაბორატორიით სარგებლობის წესი

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლაში საქმის წარმოება მიმდინარეობს შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა-თბილისის გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული „საქმის წარმოების წესის“ შესაბამისად.სკოლის ყველა სტრუქტრული ერთეული და პერსონალი ვალდებულია საქმისწარმოებასთან დაკავშირებით დაიცვას ამ წესის მოთხოვნები. წინააღმდეგ შემთხვევაში სკოლას აქვს უფლება, არ მიიღოს

კონკრეტული კორესპონდენცია/დოკუმენტი. ამ დოკუმენტის შესაბამისად დოკუმენტბრუნვა მოიცავს სამი სახის დოკუმენტაციას: ა)შემოსული დოკუმენტაცია ბ) გასული დოკუმენტაცია გ) შიდა დოკუმენტაცია.

ინდიკატორი 3.6.2.1.სტანდარტს შეესაბამება

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლა იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას - schoolbook.ge-ს, რომელშიც იტვირთება სკოლის მიერ გამოცემული ბრძანებები, შემოსული და გასული კორესპოდენცია და ცნობები/ნიშნების ფურცელი. მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და ჩარიცხვა-ამორიცხვის პროცესი წარიმართება eschool სისტემის მეშვეობით. ინფორმაციის და კორესპონდენციის მისაღებად სკოლაში გამოიყენება ელექტრონული ფოსტას info@buckswood.ge. სკოლის თითოეულ თანამშრომელს აქვს საკუთარი ელექტრონული ფოსტა.

ინდიკატორი 3.6.2.2.სტანდარტს შეესაბამება

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

ადგილზე ვიზიტისას გავეცანით სკოლის პროფილს,რომელზეც განთავსებულია კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა ინფორმაცია.

ინდიკატორი 3.6.2.3.სტანდარტს შეესაბამება

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლის მიერ დროულად ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისი ყველა სახის ინფორმაციის მიღება. ანგარიშების სახით, თუ რაიმე სხვა ფორმით. აქტიურად თანამშრომლობს სკოლა მარეგულირებელ ორგანოებთან.

ინდიკატორი 3.6.2.4.სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი 3.38 საქმის წარმოების წესი

დანართი 3.33 school book-თან დადებული ხელშეკრულება

დანართი 3.37 ინერნეტის ხელშეკრულება

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლამ წარმოადგინა სკოლიდ გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული „შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა-თბილისის საზოგადოებასთა კომუნიკაციის წესი“, რომელიც განსაზღვრავს ვებ-გვერდისა და სოციალური ქსელის მართვის

პრინციპებს, საზოგადოებასთან ურთიერთობის ფორმებს,ვებ-გვერდისა და სოციალური ქსელის მართვის ადმინისტრირებას. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესის გაცნობას სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის

ინდიკატორი 3.6.3.1.სტანდარტს შეესაბამება

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის „შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა-თბილისის საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი“მე-3 მუხლი განსაზღვრავს ინფორმაციის განთავსების პრონციპებს. კერძოდ, სკოლა არ უნდა ავრცელებდეს საზოგადოების შეცდომაში შემყვან ინფორმაციას, ვებ-გვერდსა და სოციალურ ქსელში განთავსებული ინფორმაცია უნდა იყოს უტყუარი და საჭიროების შემთხვევაში იყოს შესაძლებელი მისი გადამოწმება.

ინდიკატორი 3.6.3.2.სტანდარტს შეესაბამება

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი**

საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად

საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სკოლა ვებ-გვერდის და სოციალური ქსელის გარდა იყენებს მოკლე ტექსტურ შეტყობინებებს, სატელეფონო ზარებს, სქულბოქსს და კითხვარებს. ამავე პლატფორმების საშუალებით გაიცემა საჭირო და შედეგზე ორიენტირებული უკუკავშირი.

ინდიკატორი 3.6.3.3.სტანდარტს შეესაბამება

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს მოქმედი ვებ-გვერდი რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე.

ინდიკატორი 3.6.3.4.სტანდარტს შეესაბამება

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლის ვებ-გვერდი https://buckswood.ge/ შეიცავს ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორი 3.6.3.5.სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი 3.39 საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი

სკოლის ვებ-გვერდი https://buckswood.ge/

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის მიერ წარმოდგენილი საბუთების გაცნობისას ასეევე ადგილზე სკოლის ბუღალტრული დოკუმენტაციის გაცნობისას გადადგინდა, რომ სკოლის ფინანსური რესურსი სრულად უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესს. სკოლის ვებ-გვერდზე წარმოდგენილია ფინანსური სამსახურის მიერ წარდგენილი ანგარიში, რომელიც ადასტურებს სკოლის ფინანსურ მდგრადობას. კერძოდ, ბიუჯეტი მოიცავს საგანმანათლებლო თუ მატერიალური რესურსებისათვის აუცილებელ თანხებს, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისათვის, პერსონალის და მოსწავლეთა წახალისებისათვის საჭირო ფინანსებს და სკოლის მიერ გასაწევ სხვა ხარჯებს, რომელიც აუცილებელია სასწავლო პროცესის შეუფერხებლად და ხარისხიანად წარმართვისათვის. სკოლის ძირითადი შემოსავალია მოსწავლეთა კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, მათი მხრიდან გადახდილი სწავლის გადასახადი და ვაუჩერული დაფინანსება. ფინანსური მენეჯერი ბიუჯეტის პროექტის მომზადების პროცესში ითვალისწინებს სავარაუდო შემოსავლებს და ხარჯებს, სკოლის პრიორიტეტებს.

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლას გააჩნია ფინანსური რესურსების მართვის გეგმა, რომლის შესრულების და შუალედური ეტაპის მონიტორინგის პროცესი მუდმივად ხორციელდება. რაც დასტურდება ფინანსური დირექტორის, სკოლის ბუღალტრის ანგარიშების გაცნობით

და მათთან გასაუბრების შედეგად. სკოლის ფინანსების მართვის პროცესი შესაბამისია სკოლის შინაგანწესსა და შესაბამისი უწყების თანამშრომელთა ხელშეკრულებებში გაწერილ ფუნქცია-მოვალეობებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის ვებ-გვერდი ფინანსური ანგარიში.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამებ

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი: 21 ფაილი

თარიღი: 19.05.2025წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: